პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 129 (19870) პარასკევი, 5 ივნისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ინტენსიურად ვნერგოთ ტექნიკური სიახლენი

ბარდაქმნა, აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე, — ეს არის მტკიცე შემობრუნება მეცნიერებისაკენ, მასთან პრაქტიკის საქმიანი პარტნიორობა უმაღლესი საბოლოო შედეგების მიღწევის მიზნით, მეცნიერთა უნარი — წამოწყებას შეუქმნან სოლიდური მეცნიერული საფუძველი, მათი მზადყოფნა და მხურვალე სურვილი აქტიურად დაუჭირონ მხარი საზოგადოების განახლებისათვის გამიზნულ პარტიის კურსს. პარტიის სტრატეგიის მთავარი აზრია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები შეურწყათ გეგმიანი ეკონომიკის უპირატესობებს და ავამოქმედოთ სოციალიზმის მთელი პოტენციალი.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა მოწინავე ტექნოლოგიის ფართო ათვისება. მეთორმეტე ხუთწლედში დასახულია 1,5—2-ჯერ გაფართოვდეს პროგრესული, ყოველი დარგისათვის საბაზო ტექნოლოგიების გამოყენება.

მეორე მიმართულებაა წარმოების ავტომატიზაცია და მექანიზაცია. მათ ძირფესვიანად უნდა გარდაქმნან სამუშაო ადგილები, კიდევ უფრო ნაყოფიერი, მიმზიდველი გახადონ შრომა. მრეწველობაში დასახულია ამოქმედდეს ტექნოლოგიური პროცესების მართვის 5 ათასამდე ავტომატიზებული სისტემა.

აუცილებელია ყოველთვის გვახსოვდეს ის ამოცანები, რომლებიც დაგვისახა სკკპ XXVII ყრილობამ და განსაზღვრა სსრ კავშირის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1986—1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებით. არც ერთ წუთს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას ეფუძნება ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და მისი ნამყვანი დარგის — მრეწველობის სწრაფი წინსვლის, გარდაქმნის გრანდიოზული გეგმები.

ამაზე იყო ლაპარაკი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზეც. კერძოდ ითქვა, რომ მეურნეობრიობის ახალ ეკონომიკურ ბერკეტებს შეუძლია წარმოებაში მაქსიმალური ეფექტი მოგვცეს მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი ყოველნაირად იქნება ორიენტირებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე.

წლეულს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის საფუძველზე ხორციელდება პროდუქციის ხარისხის ვაუმჯობესებასთან და წარმოების მოდერნიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებანი. დამთავრდა რესპუბლიკური მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის შემუშავება. მანქანათმშენებლობის პროდუქციის განახლებისა და მისი ტექნიკური დონის ამაღლების კურსის შესაბამისად, საწარმოებს მიეცათ პირველად ქვეყანაში უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციის, მათ შორის მსოფლიო ნიშუშების შესაბამისი ნაწარმის ათვისების დავალებები.

ეს სწორია, მაგრამ მართალია ისიც, რომ მანქანათსაშენებელმა საწარმოებმა უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციის ათვისების პირველი კვარტალის გეგმები მხოლოდ 88 პროცენტით შეასრულეს. ხაზი გავსვა იმაზე მეტყველებს, რომ ძალიან ბევრი ადგილია ჯერ კიდევ ასათვისებელია ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში. საქონფორმის კორეს პონდენტის თხოვნით წლის შედეგების განმარტავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების სახლის გამგის მოადგილე ზ. ლელაშვილი.

— წლევანდელი წელი არსებითად პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების ახალი ფორმების აპრობაციის წელი გახდა. მარტო პარტიული განათლების სისტემაში მოქმედებდა 17 ათასამდე სკოლა-სემინარი, ამდენივე — ეკონომიკური სწავლების სისტემაში. „1986-1987 სასწავლო წელს მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების ორგანიზაციის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის სექტემბერში მიღებულმა დადგენილებამ უფლება მისცა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს თავად განესაზღვრათ სწავლების ფორმა, განეხორციელებინათ ექსპერიმენტები შრომითი კოლექტივის, მისი პარტორგანიზაციისათვის ყველაზე მოხერხებული მეთოდიკის ფარგლებში. მთავარი ამოცანაა მაქსიმალურად მივუახლოოთ მეცადინეობა საწარმოო საქმიანობის საჭიროებებს. ეს ნიშნავს, მშრომელებს გამოვუმუშაოთ უნარი, რომ ზუსტი კლასობრივი პოზიციებიდან აფასებდნენ საზოგადოებრივ მოვლენებს, ზედმოწევნით ერკვეოდნენ ეკონომიკის საკითხებში, ხელს უწყობდნენ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვას, მოწინავე გამოცდილების გავრცელებას, შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმებისა და სამეურნეო ანგარიშის პრინციპების დამკვიდრებას.

ამ პრობლემის გადასაჭრელად თითოეულმა მსმენელმა უნდა გამოავლინოს და რეალურად გაიაზროს ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს უშლიდა მას წინა წლებში. ეს არის ფორმალიზმი, ზოგჯერ ფუჭსიტყვაობა, შაბლონი, აბსტრაქტულობა. პოლიტიკური ცოდნა, მარქსიზმ-ლენინიზმის, დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძვლების ცოდნა მტკიცედ არის დაკავშირებული იმ პრობლემებთან, რომლებსაც ცხოვრება აყენებს. ეს არის ადამიანის ფაქტორის როლი, საზოგადოების დემოკრატიზაცია, ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, მორალურ ზიანს რომ აყენებს მნიშვნელოვან სოციალურ გარდაქმნებს, რომლებიც ახლა ხდება მთელ ქვეყანაში. სწავლების სწორი ორგანიზაციის შედეგად გაატიურდა მსმენელთა შრომითი საქმიანობა. მაგრამ კლასვინდბერუარად მთელ რიგ პარტიულ კომიტეტებში ცდილობენ ნაკლოვანებები მიჩქმალონ ციფრებით, შენიღბონ მოჩვენებითი კეთილდღეობით, რაც ეწინააღმდეგება გარდაქმნის, დაჩქარების მოთხოვნებს.

პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემის სემინარების მსმენელებმა შემაჯამებელ მეცადინეობაზე განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „შრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემის გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი“. განიხილეს თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ხაშურის, რუსთავის მრავალი კოლექტივი მომზადებული შეხვდა. თითქმის 90 ათასმა მსმენელმა 12 ათასამდე წინადადება, შესწორება, დამატება შეიტანა ძირითად მიმართულებათა პროექტში.

* * *

მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემის შემაჯამებელ მეცადინეობებში მონაწილეობდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. გლუხოვიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ბ. ვ. ადლეიბა, კ. ხ. ემირიძე, ფ. ს. სანაკოევი, ნ. რ. საჯაია. (საქინფორმი).

სასურსათო პროგრამა: რეალიზაციის გზები

პრწანისელი

მეგოსტნეობი

გარდაბნის რაიონის კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა გადაწყვიტეს 850 ჰექტარ ფართობზე გეგმით გათვალისწინებული 2.200 ტონის ნაცვლად მოიწიონ და სახელმწიფოს მიაყიდონ 2.500 ტონა ბოსტნეული — კომბოსტო, ხახვი, ბოლოკი, სალათა და მწვანილი.



სურათზე: მებოსტნეთა ბრიგადირი მ. ჰუსეინოვი დავალებას აძლევს ტრაქტორისტ გ. გოგოლაძეს.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გეგმას 7 ნოემბრისათვის შეასრულებენ

ზესტაფონი. (საკ. კორ.). რაიონის მეცხოველეებმა 15 მაისისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის ხუთი თვის გეგმა. საგეგმოზე 17 ტონით მეტი ხორცი და 7 ტონით მეტი რძე დამზადდა. ამ საქმეში თავი გამოიჩინეს სოფელ პირველი და მეორე სვირის, კლდეეთის, ცხრაწყაროს, ალავერდის, ბოსლევის, დილიკაურის, საზანოს კოლმეურნეობების და არგვეთის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეებმა.

ეს წარმატებები იმის შედეგია, რომ რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში შარშან საკმარისი უნეში და წვნიანი საკვები დაამზადეს.

ზესტაფონელი მეცხოველეები ხუთწლედის მეორე წლის დავალების შესრულებას 7 ნოემბრისთვის ვარაუდობენ.

მეწისქვეშა ჩქარმავლები

ტყიბული. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის შახტის ადმინისტრაციამ ამ დღეებში გვირაბგამყვანთა იმ ბრიგადას, რომელსაც ნოვატორი მეშახტე კარლო მიხეილის ძე მორჩაძე ხელმძღვანელობს, სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი შრომითი გამარჯვება მოუღოცა. ეს ბრიგადა ერთ-ერთი საუკეთესოა ქვანახშირის საბადოში. მისი წევრები თვეში გათვალისწინებული 30 კუბიური მეტრის ნაცვლად ფართო ქვათის სანგრევს 41 მეტრით სწევენ წინ და ამით მნგრეველებს გზას უხსნიან ქვანახშირის ახალი მძლავრი ფენებისაკენ.

ბრიგადის გადაწყვეტილებაა გვირაბების გაყვანის ხუთწლედის ორი წლის დავალებაც ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისათვის შესასრულოს.

ერთმანეთს ეჯიბრებიან ნოვატორები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და რესპუბლიკის პროფსაბჭომ შეაჯამეს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა 1986 წლის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ შარშან ნოვატორთა შეჯიბრებაში მონაწილეობდა 30,1 ათასი გამომგონებელი და რაციონალიზატორი, რომლებმაც განსახილველად წარადგინეს 29,9 ათასი წინადადება.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დაინერგა 246 გამოგონება და 25,5 ათასი რაციონალიზატორული წინადადება. მათი გამოყენების შედეგად მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა 109,3 მილიონი მანეთი შეადგინა.

გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად დაიზოგა 5,3 ათასი ტონა ლითონი, რაც რესპუბლიკაში დაზოგილი მთელი ლითონის 20,4 პროცენტს შეადგენს, აგრეთვე 1,9 ათასი ტონა პირობითი სათბობი, 14,5 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 1,2 ათასი ტონა ცემენტი, 4,8 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყე, 6,9 ათასი გიგაკალორია თბოენერგია, 10,2 ათასი ტონა ბენზინი, 3,9 ათასი ტონა დიზელის სათბობი.

გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენების შედეგად პირობითად გამოთავისუფლებულ მუშათა რიცხვმა 1226 შეადგინა.

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით მიღებულმა, საშუალო ეკონომიამ შეადგინა 4244 მანეთი, ხოლო მთი შემუშავებისა და გამოყენებისათვის დახარჯებმა — 164 მანეთი, ესე იგი 1 მანეთი დახარჯული სახელმწიფო სახსრების უკუგება უდრიდა 25,9 მანეთს.

რესპუბლიკის გამომგონებლებმა გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში შეიტანეს გამოგონების 1301 განაცხადი, გაიცა 589 საავტორო მოწმობა.

ამავე დროს მეთორმეტე ხუთწლედის პირველ წელს 1985 წელთან შედარებით მთლიანად რესპუბლიკაში შემცირდა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

სოციალისტური შეჯიბრების სუსტი ორგანიზაციის შედეგად, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, 1986 წელს დაშვებულია ცალკეულ მაჩვენებელთა შემცირება რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის, მშენებლობის, ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, საავტომობილო გზების სამინისტროების საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ძირითადი მაჩვენებლები გაუარესდა ბათუმის მანქანათსაშენებელ და ელექტრომექანიკურ ქარხნებში, ფოთის ელექტრომანქანური მაძლიერებლების ქარხანაში.

რუსეთის მასწავლებელთა ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

უდიდესი მნიშვნელობის ამოცანა დგას საბჭოთა მასწავლებლების მრავალმილიონიანი არმიის წინაშე — გადასცენ მოზარდ თაობას მთელი შემეცნიერ ცოდნა, განუვითარონ კომუნისტ უ რ ი მსოფლმხედველობა, ჩვეულება და ენერგია, რომლებიც საჭიროა ცხოვრების აქტიური გარდაქმნისათვის. ამ მიზნის უნდა ემსახურებოდეს სკოლის რეფორმა. დღეს საქმითა მისი გაორძავება, ახალი შინაარსით შევსება, უნდა მოისპოს დაბრკოლებები მისი განხორციელების გზაზე. სრულიად რუსეთის მასწავლებელთა ყრილობის დელეგატები, რომელმაც 3 ივნისს გააგრძო მუშაობა კრემლის დიდ სასახლეში, თვითკრიტიკულად იხილავენ სწავლებისა და აღზრდის ყველა რგოლის მუშაობის სრულყოფის პრობლემებს.

ყრილობაზე მიიღეს რეზოლუცია.

ყრილობამ მუშაობა დაამთავრა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით ქალაქ ლენინგრადის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შესახებ

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისთვის მზადებასთან დაკავშირებით ქალაქ ლენინგრადის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის საკითხი.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ლენინგრადის სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა, ქალაქის მშრომელებმა, რომლებიც განგრძობენ სახელოვან რევოლუციურ და შრომითს ტრადიციებს, საიუბილეო წელს აქტიური ბრძოლა გააჩაღეს პარტიის იმ სტრატეგიული კურსის განხორციელებისათვის, რომლის მიზანია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი სფეროების დაჩქარება.

დიდი მოწონებით შეხვდნენ ლენინგრადელები სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას საბჭოთა ხალხისადმი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავთან დაკავშირებით.

ქალაქის 200 ათასზე მეტმა მშრომელმა მხარი დაუჭირა ლენინგრადის საწარმოების მუშათა — სკკპ XXVII ყრილობის დელეგატთა ინიციატივას ხუთწლედის ორი წლის დავალებანი შეასრულონ 1987 წლის 7 ნოემბრისათვის.

შესრულებულია პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის, სამრეწველო წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის მიხედვით მიმდინარე წლის ოთხი თვის გეგმა. სამრეწველო პროდუქციის ეფექტიანობის უშეებენ სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში მომუშავე შრომითი კოლექტივები.

პროფესიებისა და თანამდებობების შეთავსების შედეგად 20 ათასით და მეტად შემცირდა მოთხოვნილება მუშახელზე. გულმოდგინედ მუშაობენ მანქანათსაშენებელ საწარმოთა ძირითადი წარმოებების მრავალცვლიან რეჟიმზე გადაყვანისათვის. მტკიცდება დისციპლინა და წესრიგი წარმოებაში, შემცირდა სამუშაო დროის დანაკარგები და კადრების დინამობა. მეტი ყურადღება ეთმობა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და განახლებას. მიმდინარე ხუთწლედში ათვისებულია 400-ზე მეტი დასახელების ახალი ტექნიკის გამოშვება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამავე დროს ლენინგრადის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ყურადღება მიაპყრო მათი მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებებს. გარდაქმნას ჯერ კიდევ არ შეუძლია საჭირო გაქნება და სიცოცხლე. საბჭოები, მათი ორგანოები ყველა შესაძლებლობას არ იყენებენ იმისათვის, რომ მიაღწიონ ძირეულ გარდატეხას საქვეუწყებო ტერიტორიების კომპლექსური განვითარების ამოცანების გადაწყვეტაში, ჯერჯერობით ყურადღებას არ უთმობენ ჩამორჩენილ უბნებს. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ქალაქის 51 საწარმომ 1987 წლის I კვარტალში თავი ვერ გაართვა შრომის ნაყოფიერების ზრდის საგეგმო დავალებებს, 72-მა ვერ შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა მიწოდების დავალებებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით. ბევრი საჭონელი არ შეესაბამება მყიდველთა გაზრდილ მოთხოვნილებებს.

სსრ კავშირის ენერგეტიკული მაქანათმშენებლობის, მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის მთელ რიგ საწარმოებში სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების წილი ხელფასის ერთ მანეთზე არ აღემატება 25 კაპიკს.

შეუწყნარებლად ნელა წყდება საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სსრ კავშირის შავი მეტალურგიის, ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის, ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროების მთელ რიგ საწარმოებში წარმოების რეკონსტრუქციისა და ტექნიკურ განახლებასთან. ცუდად ასრულებენ კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების გეგმებს ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციები, არადამაკმაყოფილებლად წარმოებს მუშაობა გარემოს დაცვისათვის.

პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად და ოქტომბრის იუბილეისათვის მზადებისთან დაკავშირებით ლენინგრადში ბევრი რამ კეთდება სოციალური სფეროს განვითარებისათვის, მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

შარშან გადაჭარბებით შესრულდა ბინების მშენებლობის გეგმა. 70 ათასზე მეტმა ოჯახმა გაიუმჯობესა საბინაო პირობები. გაფართოვდა ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელი. მოსახლეობისათვის ფასიან მომსახურებათა გაწევაში დამატებით ჩაბმულია 250-ზე მეტი საწარმო.

მაგრამ ეს სრულად ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებებს, არ შეესაბამება მრავალმილიონიანი ქალაქის სოციალურ-საყოფაცხოვრებო სფეროსა და კულტურის განვითარების გაზრდილ ამოცანებს.

მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს ბინების მშენებლობისა და რემონტის ხარისხი, კიდევ უფრო უნდა განვითარდეს ქალაქის მთელი სოციალურ-საყოფაცხოვრები სფერო. საფუძველია ქალაქელთა საჭიროები საბინაო-კომუნალური და ენერგეტიკული სამსახურების, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმ, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო.

ქალაქის სახალხო დეპუტატთა საბჭოები ჯერჯერობ სიმტკიცეს არ იჩენენ უძრაობის მოვლენების დაძლევაში, რომლებიც ჯერ კიდევ არის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, მეცნიერებისა და კულტურის მთელ რიგ უბნებზე. საბჭოების მრავალ ხელმძღვანელსა და მუშაკს არ ყოფნის უნარი იმუშაოს საჯაროობისა და მზარდი დემოკრატიის პირობებში. მათ ხელი არ აუღიათ ბიუროკრატიზმისა და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლისადმი კამპანიურ მიდგომაზე. საბჭოების მუშაობის ეფექტიანობის გადიდებისათვის მასები, შრომითი კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები უნდა ჩავაბათ საბჭოების საქმიანობის ყველა მთავარი სფეროს პრობლემების გადაჭრაში. პარტიის ეს მოთხოვნა განმსაზღვრელი უნდა იყოს საბჭოების მუშაობის მეთოდებში. უამისოდ წარმოუდგენელია გარდაქმნა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გამომდინარეობს იქიდან, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავი დიდი პოლიტიკური მოვლენაა ქალაქის, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

საბჭოების საქმიანობაში მთავარია ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ყოველმხრივი გარდაქმნა, მტკიცე გადაწყვეტილება ოქტომბრის წლისთავს შეეგებონ კონკრეტული მიღწევებით.

პრეზიდიუმმა ლენინგრადის საქალაქო აღმასკომის გასაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმას, რომ უნდა აღმოფხვრას მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, იღვაწოს, რომ დღესასწაულისათვის. მზადებით გამოწვეული ადამიანების პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის აღმავლობა, უწინარეს ყოვლისა, მიზნად ისახავდეს იმას, რომ თითოეულმა საწარმომ და ორგანიზაციამ შეასრულოს საგეგმო დავალებანი და ვალდებულებანი, გამოავლინოს და გამოიყენოს ეკონომიკური ზრდის დამატებითი რეზერვები, უკეთ დაკმაყოფილოს მოქალაქეთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი. უფრო სრულად უნდა გამოიყენონ შეძენილი მოწინავე გამოცდილება, ყოველნაირად წაახალისონ მშრომელთა ინიციატივა ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავად გაწეული სოციალისტური შეჯიბრების დროს.

საბჭოებმა თავიანთ მუშაობას უნდა შესძინონ რეალური დემოკრატიული შინაარსი, გააფართოონ საჯაროობა, კრიტიკა და თვითკრიტიკა, შექმნან ყველა პირობა, რომ ქალაქის ცხოვრების აქტიალურ საკითხებზე გადაწყვეტილებათა შემუშავებასა და შესრულებაში მშრომელები აქტიურად მონაწილეობდნენ.

ლენინგრადის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ მოედნებისა და ქუჩების, რეკონსტრუქციის მოვლენებთან, სოციალიზმის მშენებლობასა და დაცვასთან დაკავშირებული ძეგლებისა და მემორიალური ადგილების კეთილმოწყობა და სანიმუშოდ მოწესრიგება.

სათანადო გაკეთებითა და სიღრმით გამოიყენონ იუბილეისათვის მზადება, რათა გადიდონ ლენინგრადელთა უფროსი თაობის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებზე, სსრ კავშირის ხალხთა ურთვეეი მეგობრობის, სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მუდმივი მზადყოფნის სულისკვეთ ე ბ ი თ მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის პატრიოტ უ ლ ი და ინტერნაციონალური აღზრდის ეფექტიანობა.

ნიადაგ უნდა ზრუნავდნენ რევოლუციის, სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების მონაწილეებისათვის, პარტიისა და შრომის ვეტერანებისათვის, განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი მათი საბინაო-საყოფაცხოვრები პირობების, სამედიცინო და სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

იუბილეისათვის მზადების დროს ქალაქის საბჭოებმა უნდა დაგეგმონ თავიანთი მუშაობის სტილი და მეთოდები. გაზარდონ სესიების, აღმასრულებელი კომიტეტებისა და მუდმივი კომისიების სხდომების როლი და ქმედითობა, მიაღწიონ მათს მუშაობაში მეტ საჯაროობას, დემოკრატიზმსა და ეფექტიანობას სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაში. საჭირო პირობები შექმნან აზრთა გულახდილი, გაგებული გაზიარებისათვის, მომთხოვნელობისათვის, გაძლიერონ კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა დროული შესრულებისადმი, მიაღწიონ სიტყვისა და საქმის ერთიანობას.

მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სახალხო დეპუტატთა ყველა ადგილობრივ საბჭოს დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის მზადება სთან დაკავშირებულ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობაში რეკომენდაცია მიეცათ მთელი მეცადინეობა მოახმარონ პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებების, „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის მზადების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პრაქტიკულ რეალიზაციას, 1987 წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას.

ფართოდ გამოიყენონ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და სახალხო სასამართლოების არჩევნების საარჩევნო კამპანია, რომელიც ახალ პირობებში ეწყობა, რათა ძირეულად გაუმჯობესდეს საბჭოთა, სამეურნეო და სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობა, გაძლიერდეს მშრომელთა სრულუფლებიანობის განხორციელების საქმეში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა პროპაგანდა.

უზრუნველყონ ჩვენი მიღწევების ფართო ჩვენება, გამოავლინონ ოქტომბრის მონაპოვრებისა და იმ ახალადელი რევოლუციური გარდაქმნების ორგანული კავშირი, რომლებიც ხორციელდება პარტიის ინიციატივით და ხალხის სრული მხარდაჭერით.

№ 129 (19870) პარასკევი, 5 ივნისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ინტენსიურად ვნერგოთ ტექნიკური სიახლენი

ბარდაქმნა, აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე, — ეს არის მტკიცე შემობრუნება მეცნიერებისაკენ, მასთან პრაქტიკის საქმიანი პარტნიორობა უმაღლესი საბოლოო შედეგების მიღწევის მიზნით, მეცნიერთა უნარი — წამოწყებას შეუქმნან სოლიდური მეცნიერული საფუძველი, მათი მზადყოფნა და მხურვალე სურვილი აქტიურად დაუჭირონ მხარი საზოგადოების განახლებისათვის გამიზნულ პარტიის კურსს. პარტიის სტრატეგიის მთავარი აზრია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები შეურწყათ გეგმიანი ეკონომიკის უპირატესობებს და ავამოქმედოთ სოციალიზმის მთელი პოტენციალი.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა მოწინავე ტექნოლოგიის ფართო ათვისება. მეთორმეტე ხუთწლედში დასახულია 1,5—2-ჯერ გაფართოვდეს პროგრესული, ყოველი დარგისათვის საბაზო ტექნოლოგიების გამოყენება.

მეორე მიმართულებაა წარმოების ავტომატიზაცია და მექანიზაცია. მათ ძირფესვიანად უნდა გარდაქმნან სამუშაო ადგილები, კიდევ უფრო ნაყოფიერი, მიმზიდველი გახადონ შრომა. მრეწველობაში დასახულია ამოქმედდეს ტექნოლოგიური პროცესების მართვის 5 ათასამდე ავტომატიზებული სისტემა.

აუცილებელია ყოველთვის გვახსოვდეს ის ამოცანები, რომლებიც დაგვისახა სკკპ XXVII ყრილობამ და განსაზღვრა სსრ კავშირის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1986—1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებით. არც ერთ წუთს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას ეფუძნება ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და მისი ნამყვანი დარგის — მრეწველობის სწრაფი წინსვლის, გარდაქმნის გრანდიოზული გეგმები.

ამაზე იყო ლაპარაკი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზეც. კერძოდ ითქვა, რომ მეურნეობრიობის ახალ ეკონომიკურ ბერკეტებს შეუძლია წარმოებაში მაქსიმალური ეფექტი მოგვცეს მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი ყოველნაირად იქნება ორიენტირებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე.

წლეულს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის საფუძველზე ხორციელდება პროდუქციის ხარისხის ვაუმჯობესებასთან და წარმოების მოდერნიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებანი. დამთავრდა რესპუბლიკური მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის შემუშავება. მანქანათმშენებლობის პროდუქციის განახლებისა და მისი ტექნიკური დონის ამაღლების კურსის შესაბამისად, საწარმოებს მიეცათ პირველად ქვეყანაში უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციის, მათ შორის მსოფლიო ნიშუშების შესაბამისი ნაწარმის ათვისების დავალებები.

ეს სწორია, მაგრამ მართალია ისიც, რომ მანქანათსაშენებელმა საწარმოებმა უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციის ათვისების პირველი კვარტალის გეგმები მხოლოდ 88 პროცენტით შეასრულეს. ხაზი გავსვა იმაზე მეტყველებს, რომ ძალიან ბევრი ადგილია ჯერ კიდევ ასათვისებელია ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში. საქონფორმის კორეს პონდენტის თხოვნით წლის შედეგების განმარტავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების სახლის გამგის მოადგილე ზ. ლელაშვილი.

— წლევანდელი წელი არსებითად პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების ახალი ფორმების აპრობაციის წელი გახდა. მარტო პარტიული განათლების სისტემაში მოქმედებდა 17 ათასამდე სკოლა-სემინარი, ამდენივე — ეკონომიკური სწავლების სისტემაში. „1986-1987 სასწავლო წელს მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების ორგანიზაციის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის სექტემბერში მიღებულმა დადგენილებამ უფლება მისცა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს თავად განესაზღვრათ სწავლების ფორმა, განეხორციელებინათ ექსპერიმენტები შრომითი კოლექტივის, მისი პარტორგანიზაციისათვის ყველაზე მოხერხებული მეთოდიკის ფარგლებში. მთავარი ამოცანაა მაქსიმალურად მივუახლოოთ მეცადინეობა საწარმოო საქმიანობის საჭიროებებს. ეს ნიშნავს, მშრომელებს გამოვუმუშაოთ უნარი, რომ ზუსტი კლასობრივი პოზიციებიდან აფასებდნენ საზოგადოებრივ მოვლენებს, ზედმოწევნით ერკვეოდნენ ეკონომიკის საკითხებში, ხელს უწყობდნენ

დაჩქარების სტრატეგია

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, ყოველდღიური ცხოვრებისა და საქმიანობის ნებისმიერ დარგში ძირეული ხასიათის გარდაქმნების პოლიტიკა, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა დაუდო საფუძველი, ხოლო პარტიის XXVII ყრილობამ კონკრეტულ ხამოქმედო პროგრამად ჩამოაყალიბა და, ყოველდღიურად იძლევა საგრძნობ შედეგს.

საამისოდ დღემდე გაწეული და ამჟამად მიმდინარე მუშაობის პირველი დადებითი შედეგები ნათლად შეინიშნება რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტში“, საწარმოში, რომლის კოლექტივი ამ ბოლო წლების მანძილზე სისტემატურად ვერ ართმევდა თავს ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შესრულებას.

„კომუნისტის“ რედაქციას უყურადღებოდ არასოდეს დაუტოვებია გაერთიანების კოლექტივი, მისი პრობლემები, რეგულარულად აშუქებდა საწარმოში არსებულ მდგომარეობას. ახლახანაც, 20 მაისის ნომრის მოწინავე სტატიით მკითხველებს შევეპირდით, რომ „აზოტის“ მშრომელთა პრაქტიკულ საწარმოო საქმიანობასა და მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემაში მოპოვებულ წარმატებებზე, მათი მიღწევების გზებზე უფრო დაწვრილებით მოვუთხრობდით „კომუნისტის“ ფურცლებზე.

ვასრულებთ დანაპირებს და გთავაზობთ მახალების შენარჩევს ამ საწარმოს მშრომელთა საქმიანობის თაობაზე.

ქსნის ხეობის დროშები

ფიქრები ლარგვისის საპარადო შესასვლელთან, რომელიც სოფელს არა აქვს, მაგრამ საკავშირო და რესპუბლიკური ჯილდოებს კი იღებს.

მართლაც არა აქვს ლარგვისს საპარადო შესასვლელი. შესასვლელი კი არა, მთის ეს პატარა სოფელი ერთობ კეთილმოწყობილია. როცა იქ ავედით, გულსატკენი ფიქრები მოგვეძალა: ნუთუ ამდენი დროშის მფლობელ სოფელს მეტი არ შეუძლია? მოდით, პირუთვნელად ვთქვათ სათქმელი:

ცხოვრებაში ზოგს რა ეკვიატება ხოლმე და ზოგს კიდევ რა... იორამ ბაშარულს საკავშირო და რესპუბლიკური გარდამავალი დროშების მოპოვებისა და ამ გზით განდიდების მანია მაშინ აეკვიატა, როცა ლენინგორის რაიონის სოფელ უკანამზრის კოლმეურნეობაშე თამჯდომარეობის დროს, 1974 წელს, პირველი საკავშირო გარდამავალი დროშა ჩაიბარა. ზოგიერთს თურმე მაშინვე გაუკვირდა და გუნებაში რომ გაიცინა — რწყილი დაჩაწინა და აქლემი ამობინაო — თავადვე შეეშინდა. თავმჯდომარეს კი არამცთუ არ შეშინებია, იხტიბარიც არ გაუტეხია და მომდევნო წელსაც ტაშის გრიალში კვლავ ჩაიბარა გარდამავალი დროშა.

გარდამავალი რას მეკვიაო, ვინ თქვა, ვინ შეარქვა გარდამავალიო. გაუტკბა ახალგაზრდა ხელმძღვანელს და გულში ნადები არ დაუმალავს— გარდამავალი კი არა, გარდაუვალი უნდა იყოს საკავშირო დროშაო და მომდევნო წლებშიც ორჯერ მიიღო ოგი. მართლაც აღარ ეთქმოდა ამ დროშას გარდამავალი — ოთხჯერ ზედიზედ ჩაბარეს უკანამზრის კოლმეურნეობის მაშინდელ თავმჯდომარეს ი. ბაშარულს დროშა და ფულადი პრემიები. მხოლოდ სამოცდათვრამეტ წელს წაიფორხილა და რესპუბლიკურ გარდამავალ დროშას დასჯერდა.

მომდევნო წელს იორამი ლარგვისის კოლმეურნეობას ჩაუდგა სათავეში და იმავე წელს მაჩვენებლების მიხედვით საკავშირო გარდამავალი დროშა ტაშის გრიალში გადასცეს. 1980 წელსაც მიიღეს ლარგვისელებმა საკავშირო გარდამავალი დროშა, მაგრამ იგი ახალმა თავმჯდომარემ ი. ბურიანიძემ ჩაიბარა, თუმცა ყველამ იცოდა, რომ ეს ბაშარულის დროშა იყო. მან ვერ ჩაიბარა, რადგან ოთხმოცდაერთი წლის იანვარში ლენინგორის სოფლის უკანამზრის კოლმეურნეობაშე თამჯდომარეობის დროს, 1974 წელს, პირველი საკავშირო გარდამავალი დროშა ჩაიბარა. ზოგიერთს თურმე მაშინვე გაუკვირდა და გუნებაში რომ გაიცინა — რწყილი დაჩაწინა და აქლემი ამობინაო — თავადვე შეეშინდა. თავმჯდომარეს კი არამცთუ არ შეშინებია, იხტიბარიც არ გაუტეხია და მომდევნო წელსაც ტაშის გრიალში კვლავ ჩაიბარა გარდამავალი დროშა.

...და აი, შარშან იანვარში ბაშარული ისევ ლარგვისის კოლმეურნეობაში აირჩიეს თავმჯდომარედ და საკავშირო დროშაც უმალ დაიბრუნა. „ხომ ვთქვი, ქსნის ხეობიდან ამ დროშას ვერსად წაიღებენ, იგი ჩვენი, ამ ხეობის სოფლებისაა და სადაც მე ვარ, დროშაც იქ იქნებაო“, — სიამაყით ამბობს ხოლმე თავისთავში ერთობ დაჯერებული თავმჯდომარე.

შესაძლოა ვინმემ არც დაიჯეროს და თქვას: ამდენი დროშები რა ამბავია, რა მოხდა ისეთი უკანამზარში, ბალაანსა თუ ლარგვისშიო. ზოგი კი იფიქრებს: ალბათ თანამედროვე, უმდიდრესი კოლმეურნეობებია, სოფლები კი ნამდვილად ისეთი კეთილმოწყობილი, რომ იქ ცხოვრებას რა ემჯობინებაო.

დავინტერესდით, რესპუბლიკის აგრომრეწვის სათანადო სამმართველოში გავიკითხეთ, ვნახეთ ერთ-ერთი კოლმეურნეობის წლიური ანგარიში და არცთუ ისე კარგი შთაბეჭდილება დაგვრჩა, გავიფიქრეთ — ნუთუ ამ ეკონომიკური მაჩვენებლებისათვის გარდამავალი დროშითა და ფულადი პრემიით აჯილდოებენო?!

ლარგვისელთა ვიყავით, გავეცანით კოლმეურნეობის შარშანდელ და წლევანდელ ეკონომიკურ მაჩვენებლებს და ეჭვი უფრო გაგვიძლიერდა — ამ მაჩვენებლების მიხედვით საკავშირო გარდამავალი დროშა როგორ მიიღეს ლარგვისელებმა, და თანაც სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საპატიო დიპლომი ფულადი პრემიაც? — ეს ამბავი ალბათ ყველა ქართველ კაცს ეკითხებოდა.

ბატონ ალბათ ინტერესებს, თუ რას წარმოადგენს ლარგვისი, რა ავლა-დიდების პატრონია კოლმეურნეობა. ჯერ ეკონომიკურ ციფრებს გავეცნოთ:

კოლმეურნეობაში მხოლოდ მეცხვარეობასა და მეძროხეობას მიხედვენ და, ცხადია, საკვებსაც აწარმოებენ. მაგრამ ლარგვისი მთიანი სოფელია და საკმაო საკვებს ვერ იმარაგებენ. ამის გამო, რომ ჩვიდმეტი ათასამდე ცხვრისა და რვაას ორმოცი მსხვილფეხა პირუტყვისათვის თივასა და ნამჯას ჩრდილოეთ კავკასიაში ყიდულობენ, ხოლო კომბინირებული საკვების სახელმწიფო ამარაგებს, რაც ეხოდენ ძვირი უჯდებათ.

ლარგვისელებს შარშანდელი ვალდებულებით წლის ბოლოს 17.000 ცხვარი უნდა ჰყოლოდათ. გეგმით სამასთან ნაკლებს ვარაუდობდნენ. წლის ბოლოს ჰყავდათ 16.105 სული. ნერბს გეგმით ათი ათას სულს ითვალისწინებდნენ, ვალდებულებით — 9.100-ს (!); 100 ნერბზე გეგმით 85 ბატკნის მიღებასა და შენარჩუნებას ვარაუდობდნენ, ვალდებულებით — 88-ს, ჰყავდათ 92 სული. მატყლი ერთ ცხვარზე გეგმით 3,2 კილოგრამი უნდა მიეღოთ, ვალდებულებით — 2,6 (!) კილოგრამი, მიიღეს 2,1 კილოგრამი. სახელმწიფოსათვის გეგმით 28-კილოგრამიანზე ნაკლები ცხვარი არ უნდა მიეყიდათ, ვალდებულება არ უკისრიათ; მიყიდვით კი საშუალოდ 27-კილოგრამიანი ცხვარი მიჰყიდეს. მატყლი გეგმით სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ 565 ცენტნერი, ვალდებულებით — 340(!) ცენტნერი, მიჰყიდეს 373 ცენტნერი.

ახლა მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე ვილაპარაკოთ: გეგმით წლის ბოლოსათვის უნდა ჰყოლოდათ 750 სული, ჰყავდათ 840. 100 სულ ძროხაზე გეგმით უნდა მიეღოთ 80 ხბო, ვალდებულებით — 85, მიიღეს 92. გეგმით თითოეულ ძროხაზე 1.800 ლიტრი რძე უნდა მიეღოთ, ვალდებულებით — 1.850 ლიტრი, მიიღეს 1.852 ლიტრი (ორი ლიტრი გადაამეტეს). საერთოდ მსხვილფეხა რქიანმა პირუტყვმა კოლმეურნეობას 5.000 მანეთი აზარალა.

შარშან კოლმეურნეობას 628 სული ცხვარი გაუწყდა, ზოგიც იძულებით დაკლეს (წელს ხამ თვეში 226 სული გაუწყდათ, 207 იძულებით დაკლეს). ეს სოციალისტური ვალდებულებებში არ უწერიათ. საერთოდ იციან კი, რა არის სოციალისტური?!

შეიძლება აქ ითქვას ისიც, რომ ფიზიკურად მომუშავეთა საშუალო ხელფასი თვეში ერთობ მცირე ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა ხელფასთან შედარებით. ფიზიკურად მომუშავენი თვეში საშუალოდ 250 მანეთს იღებენ, ხელმძღვანელები და სპეციალისტები კი 275 მანეთს. როგორც აღვნიშნეთ, შარშანდელი საკავშირო გარდამავალი დროშის მიღება ითვალისწინებს აგრეთვე სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე კოლმეურნეობის მიღწევათა ფართო ჩვენებას. საინტერესოა, ამ ციფრებს სტენდზე თუ უჩვენებენ? არა გვგონია.

მატყლის ხოლიდური სახელმწიფო შესასყიდი ფასი კილოგრამი 8 მანეთი და 84 კაპიკი რომ არა, კოლმეურნეობას ფინანსური სიძნელეები ექნებოდა. კაცდღეების ანაზღაურებას არა უშავს, მაგრამ სოფლის კეთილმოწყობისათვის ეტყობა თანხები აღარ ყოფნით.

სოფლის საპარადო შესასვლელი თავიდან შემთხვევით კი არ ვახსენეთ. სოფელი სოფელს არა ჰგავს, ვერ გიგებთ, სად იწყება და სად თავდება, სად არის სოფლის ცენტრი. არადა, სოფელს, რომელიც მდინარე ქსნის ნაპირზეა, შესანიშნავი ადგილმდებარეობა აქვს, მაგრამ მის გალამაზებასა და კეთილმოწყობაზე არავის უზრუნია, კლუბიც კი არა აქვთ (დაუზიანდათ და კაი ხანია შეკეთება ვეღარ მოუხერხებიათ), რომ იქ შეიკრიბონ და სოფლის ავ-კარგზე იმსჯელონ, კინოფილმები ნახონ. კონცერტებსა და თვითშემოქმედებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. საინტერესოა, საკავშირო გარდამავალი დროშა სად გადასცეს? რა თქვეს მშრომელებმა? ან კი რას იტყოდნენ, მარტო დროშები რას მოუტანთ. ეტყობა, დროშები კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას თავის მოსაწონებლად უფრო სჭირდება.

... და მაინც, როგორ მოხდა, რომ ლარგვისში ამდენი დროშა მიიღეს?

ცნობილა, რომ საკავშირო და რესპუბლიკური დროშებით დასაჯილდოებლად ზემდგომ ორგანოებში მასალები იანვრის შუა რიცხვებამდე უნდა წარადგინონ. ამ დროისათვის კი წინა წლის შრომის შედეგების ეკონომიკური ანალიზის გაკეთება შეუძლებელია და ამას არც არავინ თხოულობს. პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები შესრულდა? — მორჩა და გათავდა. თუ სახალგადოებრივი მეურნეობის ხელმძღვანელი თადარიგს დროზე დაიჭერს, წინ ვინღა დაუდგება?

წინ არავინ არ დაუდგა ლარგვისელთა ხელმძღვანელს და დროშების ფრიალ-ფრიალით მტერს თვალი დაუვსო, მოყვარეს კი გული დაუმძიმა. დროშებს არ სჯობდა სოფლისათვის მიეხედა თავმჯდომარეს? რა ენაღვლება თუ ლარგვისელებს რაიმე გაუჭირდებათ. და მართლაც არ ენაღვლება, წელს მეხუთე თვეა კოლმეურნეობას აღარ ეკარება, ეტყობა, ახლა განდიდების სხვაგვარი მანია აეკვიატა. საწადელს შესრულებს? — კითხულობენ ლარგვისსა და ლენინგორში. ვინ იცის შეისრულებს? — ახლა ხომ სხვა ქარი ქრის! თავმჯდომარის კაბინეტში დროშები კედლის კუთხეშია მიყუდებული და არ ფრიალებს. მდინარე ქსანი ძალზე მოდიდებულია. წყალგალმა ლარგვისელებმა ეტყობა უფრო თავმჯდომარის შიშით, არ გადაგვიშვეს, რათა არ გვენახა რა დღეშია ხბორები. დღეში სამი ლიტრი რძის სმისაგან გასუქებულან თუ გამხდარან? ლარგვისში ამბობენ, დღეში თითო ხბომ სამი ლიტრი ნატურალური რძე რომ მიიღოს, მეტი რაღა უნდათ, სულ უნდა კუნტრუშობდნენო. მაშ რატომ არ გვაჩვენეს ფერმა? ამღვრეულ ქსანს რატომ დაანარცლეს?

წელს აპრილის ბოლოს გაზეთ „პრავდაში“ დაიბეჭდა კრიტიკული კორესპონდენცია „მიწერების შემდეგ“. მასში მხილებული იყო ის მანკიერებანი, თუ მოლდავეთში მთელი რიგი საზოგადოებრივი მეურნეობები როგორ იღებენ მიწერების გზით სახელმწიფო ჯილდოებს. თავად რესპუბლიკამ კი დაკარგა უფლება იყოს საკავშირო გარდამავალი დროშის მფლობელი. ლარგვისელთა თავმჯდომარეს ეურჩევთ წიაკითხოს „პრავდის“ ეს კორესპონდენცია და მერე გულდასმით გაანალიზოს ეკუთვნოდა თუ არა საკავშირო გარდამავალი დროშები იმ კოლმეურნეობებს, რომლებსაც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა. ან შარშან, იანვარში, ლარგვისში ახლად მისულმა თავმჯდომარემ ერთ წელიწადში ისეთი რა წარმატებები მოიპოვა, რომ საკავშირო გარდამავალი დროშა ისევ დაიბრუნეს? აი რა არის დამაფიქრებელი.

ვ. გოზალიშვილი.
ლენინგორის რაიონი.

1. საქმიანობის ღრმა ანალიზის შემდეგ

„ყინული“ დაიძრა

რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ ბიოგრაფია სამი ათეული წლის წინათ დაიწყო. იყო დრო, როცა გადაჭარბებით სრულდებოდა გეგმები, არც ხარისხი იყო ურიგო. მაგრამ მერე საწარმო შეფერხდა, თანდათან დათმო პოზიციები. ასე გრძელდებოდა წლების მანძილზე. მეთერთმეტე ხუთწლედში საწარმომ ათმილიონობით მანეთის ძვირფასი და აუცილებელი პროდუქცია დააკლო სოფლის მეურნეობას.

ჩამორჩენას მრავალი ობიექტური და სუბიექტური მიზეზი აქვს. მთავარი ის იყო, რომ შესუსტდა დისციპლინა, დაბალი იყო შრომის ორგანიზაციის დონეც, ფორმალურ ხასიათს ატარებდა სოციალისტური შეჯიბრება. მუშაკთა შრომის გათანაბრებას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ ბევრ მთგანს გული გაუტყდა, ნებისყოფა არ ეყო და გაჭირვების ჟამს უღალატა კოლეკტივს. მათ შორის იყვნენ უნარიანი სპეციალისტებიც, რომელთა წასვლა იმთავითვე დაეტყო საქმეს. მათი შემცვლელები კი არ ჩანდნენ. ობიექტურ მიზეზად იმას ასახელებდნენ, რომ გაერთიანების საწარმოებში მიმდინარეობდა რეკონსტრუქცია. განახლებას სავალალო შედეგები კი არ უნდა მოჰყოლოდა, პირიქით, ფონდუკუნგება უნდა გაზრდილიყო.

შარშანდლიდან ნელ-ნელა იცვლება მდგომარეობა. სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ ვეფარ შეუერგდნენ ესოდენ დიდმნიშვნელოვანი საწარმოს ქრონიკულ ჩამორჩენას და საკითხი საფუძვლიანი მსჯელობის საგანი გახდა. დაისახა ჩამორჩენიდან თავის დაღწევის კონკრეტული გზები, განხორციელდა ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებანიც, შეიცვალა გაერთიანების ხელმძღვანელობა. მის დირექტორად დაინიშნა გამოცდილი სამეურნეო და პარტიული მუშაკი ზურაბ კერვალიშვილი. პარტიული კომიტეტის მდივნად ნოდარ კურტანიძე აირჩიეს. მათი ხელი მალე დაეტყო საქმეს, თუმცა ჩამორჩენის დაძლევას ნახევარი წლის შეუპოვარი შრომა და რუდუნება დასჭირდა. მიმდინარე წლის დასაწყისიდან ყოველივე თავის კალაპოტში ჩადგა, გეგმები და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები რიტმულად სრულდება.

საგეგმო განყოფილების ცნობა: **მიმდინარე წლის ხუთ თვეში სახაქონლო პროდუქციის გამოშვების დავალება შესრულდა 107,7 პროცენტით, რეალიზაციის გეგმა სახელმწიფო ვალდებულებების გათვალისწინებით — 97,7 (შარშან შესაბამის პერიოდში იყო 68 პროცენტი) პროცენტით. გეგმის გადამეტებით 8 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია დამზადდა. შრომის ნაყოფიერების გეგმა შესრულდა 111 პროცენტით, საგრძნობლად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, სახელმწიფო ხარისხის ნიშნანი პროდუქციის გამოშვების გეგმა 170 პროცენტით შესრულდა და მისმა ხვედრითმა წილმა პროდუქციის მოცულობაში შეადგინა 47 პროცენტი გეგმით გათვალისწინებული 30 პროცენტის ნაცვლად. სახელმწიფო მიღების საწარმოო გეგმის შესრულებამ 105,4 პროცენტი შეადგინა.**

ბაერთიანების მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობაში ამ ბოლო ხანს გამოკვეთილი სასიკეთო ძვრები, წარმატებები ბევრ სხვა რამესთან ერთად მნიშვნელოვანწილად განაპირობა იდეოლოგიური მუშაობის გააქტიურებამ, მისი ფორმებისა და მეთოდების დახვეწამ, შემოქმედებითმა ძიებამ.

ამჟამად იდეოლოგიური მუშაობის მხოლოდ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უბანზე — მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლებაზე, ლექციურ პროპაგანდაზე გავამახვილებთ მკითხველთა ყურადღებას, მოკლედ მოვუთხრობთ მათ ამ მხრივ გაერთიანებაში მიმდინარე ექსპერიმენტის პირველ სასიკეთო შედეგებზე, მომავლის ამოცანებზე.

ადრე ეს უბანიც ჩავარდნილი იყო. რა გაკეთდა მდგომარეობის გამოსწორებისათვის? — ამის თაობაზე ვესაუბრეთ გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანს ნ. კურტანიძეს. მან გაიხსენა ის წლები, როცა მარქსისტულ-ლენინური განათლების ორგანიზატორების მთელი მცდელობა მიმართული იყო იქითკენ, რაც შეიძლება შფამბეჭდავი ყოფილიყო სტატისტიკა. მოქმედებდა მრავალი პოლიტსკოლა და სემინარი, სწავლებაში ჩაბმული იყო მშრომელთა დიდი რაოდენობა, მრავალი პროპაგანდისტი, მეცადინეობისათვის გამოყოფილი იყო უმაკრესად განსაზღვრული დღეები. იმის უფლებაც კი არავინ ჰქონდა, საჭიროების შემთხვევაში, შეუთანხმებლად, მეცადინეობის დღე და, ასე განსაჯეთ, საათიც კი შეეცვალათ, ან სადმე საწარმოში, უშუალოდ სამუშაო უბანზე ჩაეტარებინათ მეცადინეობა. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ადამიანები, სამწუხაროდ, სწავლების გარეგნული ეფექტისათვის უფრო ზრუნავდნენ, ვიდრე მეთოდიკური ხელმძღვანელობისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

გაერთიანების მშრომელთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სწავლებაში შემობრუნების წერტილი გახდა „1986-1987 სასწავლო წელს მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ორგანიზაციის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება.

„აზოტის“ პარტიულმა კომიტეტმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ამის შემდეგ კრიტიკულად გადახედეს სწავლების ორგანიზაციას, სტრუქტურასა და სტილს, მიზანშეუწონლად მიიჩნიეს პარტიულობის მიხედვით მსმენელთა გამიჯვნა, აგრეთვე ერთ-

ბ. ეროშენკოს „ოქროს ხელებად“ ეწოდებოდა ფაბრიკა „ოქტომბერში“ ... ეს ... ...

გარდავქმნათ მუშაობის სტილი

ყოველი კანონი მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როცა იგი ყველას მიერ და ყველგან სრულდება. ამიტომ კანონის აზრი, მისი ყოველი ნორმის შინაარსი კარგად უნდა იცოდეს ყველამ, ვისაც შესაბამისი ნორმების განხორციელება მართებს. იმას, რომ ეს, სამწუხაროდ, ყოველთვის ასე არ ხდება, მოწმობს „სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ქალაქ ტყიბულის ზონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუშაობა, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მრიგე სხდომაზე განიხილეს.

კაცმა რომ თქვას, განხილვა, როგორც ასეთი, ამჯერად არ ყოფილა. საქალაქო საბჭოს აღმასკომის ინფორმაცია იმდენად თვითკმაყოფილი იყო, რომ მან თვალნათლივ გამოავლინა ამ კანონის მოთხოვნათა განხორციელებაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები. მიმდინარე მოწვევის პერიოდში არც საქალაქო და არც სასოფლო საბჭოებს არ განუხილავთ კანონის შესრულების მდგომარეობა. იშვიათად ისმენენ დეპუტატთა ინფორმაციებს მათი მუშაობის შესახებ. ყოველთვის არ ანალიზდება ამომრჩევლებთან შეხვედრების შედეგები. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები მოთხოვნელობას არ იჩენენ საწარმოებისა და დაწესებულებების იმ ხელმძღვანელებისადმი, რომლებიც არ განხილავენ დეპუტატების წინადადებებს ან არღვევენ მათზე პასუხის გაცემის ვადებს.

სათანადო ყურადღება არ ეთმობა დეპუტატების სწავლებას, კერძოდ, მათ მიერ სახალხო დეპუტატთა სტატუსის კანონის შესწავლას.

ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს დაევალათ ყოველი ღონე იხმარონ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, უზრუნველყონ „სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა განუხრელი შესრულება. მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამის გაკეთება უკვე ახლა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო კამპანიის დროს.

მუშაობის სტილის გარდაქმნის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის თაობაზე კონკრეტული დავალებები მიეცა მცხეთის რაიონული საბჭოს აღმასკომსაც მას შემდეგ, რაც პრეზიდიუმმა განიხილა მისი საქმიანობა პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად მშრომელთა წერილებზე მუშაობაში საჯაროობის განვითარებისათვის.

როგორც ანალიზმა ცხადყო, საჯაროობა მოქალაქეთა მიმართვებზე მუშაობაში ჯერაც არ გამხდარა რაიონების ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის ძირითადი პრინციპი. იგი ჯეროვნად არ ისახავს მიზნად გარდაქმნის სულისკვეთებით ახალი, გაბედული აზროვნებისა და ცოცხალი შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენა-გაფართოებას. მოსახლეობა და შრომითი კოლექტივები საკმარისად არ არიან ინფორმირებული არსებული პრობლემებისა და მათი დაძლევის გზების შესახებ. დღემდე არ დამკვიდრებულა რაიონში ამ პრობლემათა განხილვასა და გადაწყვეტაში მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობის პრაქტიკა. საერთო კრებებს, სასოფლო ყრილობებსა და ღია წერილის დღეებს არცთუ ისე იშვიათად ფორმალური ხასიათი აქვს. ყოველთვის არ იქმნება პრინციპულობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფერო, მიღებული დადგენილებები ზედაპირულია, ცოტა ყურადღება ეთმობა შეხვედრების დროს გამოთქმული წინადადებებისა და თხოვნათა შესრულების მიმდინარეობებისადმი კონტროლს.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს მთელი რიგი სხვა საკითხები, რომელთაგან თითოეულის გამო მიღებულია შესაბამისი დადგენილება. (საქინფორმი).

გულახდილი, საქმიანი საუბრები

„კომუნისტის“ წარმომადგენელთა

შეხვედრები მკითხველებთან

შარშან გაზაფხულზე, ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის წინ, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ და საქართველოს სს რესპუბლიკის სახაგრომრეწვმა გამოაცხადეს სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიც გამარჯვებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, ჩაის ფაბრიკების მშრომელებს გადაეცემოდათ გარდამავალი წითელი დროშა და ფასიანი საჩუქარი — ფერადი ტელევიზორი.

ახლახან „კომუნისტისა“ და სახაგრომრეწვის წარმომადგენლები ეწვივნენ შეჯიბრებაში გამარჯვებულთ — მახარაძის რაიონის სოფელ კონჭკათის ეშბას სახელობის კოლმეურნეობის, ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინერი რუსთაველის სახელობის აგროსამრეწველო კომბინატისა და ზუგდიდის რაიონის ჩაის საწარმოო გაერთიანების მეთაური ფაბრიკის მშრომელებს, გულითადად მიულოცეს მათ გამარჯვება, საზეიმო ვითარებაში გადასცეს დაწესებული ჯილდოები და ახალი წარმატებები უსურვეს შრომასა და ცხოვრებაში. ამასთანავე ჩვენი რედაქციის ინიციატივით რესპუბლიკის საკვებმომპოვებელ ბრიგადებს შორის გაწეილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის (დასავლეთის ზონაში) „კომუნისტის“ ვიმპელი და ტელევიზორი გადაეცა წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საკვებმომპოვებელთა ბრიგადას.

ჯილდოების გადაცემის შემდეგ „კომუნისტელებმა“ გამართეს მკითხველთა კონფერენციები, შეხვდნენ და ესაუბრნენ აღნიშნული რაიონების პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, კომკავშირულ და პროფკავშირულ მუშაკებს, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში დასაქმებულ მშრომელებს, კულტურის, ხელოვნებისა და სახალხო განათლების წარმომადგენლებს...

როგორ ასრულებს „კომუნისტის“ სარედაქციო კოლეგიტი დაკისრებულ რთულ და პასუხსაგებ მოვალეობას, რა არის საქმრო დღევანდელობის მოთხოვნათა მიხედვით მუშაობის გარდაქმნა-გაუმჯობესებისათვის, რას უნდა მიაქციოს გაზეთმა მეტი ყურადღება, რათა უფრო სრულად და ყოველისმომცველად ასახოს ჩვენს რესპუბლიკაში, მისი სახალხო მეურნეობის, კულტურის, ხელოვნების ყველა დარგში, სფეროში, უბანზე მიმდინარე სასიკეთო ცვლილებები, ადამიანთა შეგნების გარდაქმნის პროცესი? — აი, ძირითადად ამ საკითხებზე გაიმართა გულახდილი, საქმიანი საუბრები მკითხველებთან შეხვედრებისას.

ყველგან იგრძნობოდა საქმიანი დაინტერესება და გულისტკივილი მეჩაიეობაში არსებული მდგომარეობის გამო. რესპუბლიკის დამსახურებულმა აგრონომმა გ. შონიამ, ზუგდიდის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ფიფიამ, ცნობილმა მექანიზატორმა, სოციალისტური შრომის გმირმა გ. სახოკიამ და სხვებმა გულისტკივილით ილაპარაკეს ქართული ჩაის პრობლემებზე, მის ხარისხზე, რომელიც ამჟამად, სამწუხაროდ, ვერ აკმაყოფილებს მომხმარებლებს, აღნიშნეს, რომ „კომუნისტმა“ მეტად და პრინციპულად უნდა იზრუნოს იმ მტკივნეული საკითხების მოგვარებისათვის, რომელთა გადაუწყვეტლად არცთუ ისე მორიგი მომავალში იოლი შესაძლებელია უფრო გაუარესდეს ჩაის როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი მაჩვენებლებიც.

სანტერესო მოსაზრებები გამოთქვეს და საყურადღებო წინადადებები წამოაყენეს ზუგდიდის ჩაის საწარმოო გაერთიანების მთავარმა ინჟინერმა მ. დარასელიამ, მეთაური ფაბრიკის დირექტორმა გ. გოგოხიამ, ტექნოლოგმა ც. კერთაძემ, წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ვ. ჭანტურიამ, საშუალო სკოლის დირექტორმა ალ. სონგფლიამ, ამ მეურნეობის გამარჯვებული საკვებმომპოვებელი ბრიგადის ხელმძღვანელმა გ. მანიამ, ჩხოროწყუს რაიონული გაზეთის რედაქტორის მოადგილემ დ. კვარაცხელიამ, ლესიჭინერს ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის დირექტორმა გ. ლემონჯავამ, პედაგოგმა ა. სიჭინავამ, რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ კ. გულუამ და სხვებმა.

„კომუნისტის“ წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს მკითხველთა კონფერენციების მონაწილეებს საინტერესო შეხვედრების, საქმიანი შენიშვნებისა და წინადადებებისათვის, აღუთქვეს, რომ აუცილებლად გაითვალისწინებენ მათ, რაც გაზეთის მუშაკებს უთუოდ დაეხმარება მუშაობაში (**„კომუნისტის“ კორ.**).

განიხილეს საკვებგნარმოების პრობლემები

ერევანი (**საქინფორმის კორ.**). რაიონულ ცენტრ ეჩმიაძინში გაიმართა თათბირ-სემინარი, რომელიც მიეძღვნა საკვებწარმოების ინტენსიფიკაციის საკითხებს. იგი მოიწვიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილების ინიციატივით.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კ. დემირჩიანმა.

მოხსენებები გააკეთეს სომხეთის სსრ, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთა პირველმა მოადგილეებმა, ამ რესპუბლიკების სახაგრომრეწვების თავმჯდომარეებმა ვ. მოვსისიანმა, გ. მგელაძემ, მ. მამედოვმა.

ამერიკავკასიის რესპუბლიკებში საკვებწარმოების მდგომარეობა გაანალიზა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილების გამგის მოადგილემ ვ. ონისოვეცმა.

ამერიკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ეწვივნენ ეჩმიაძინის რაიონის საკვების ქარხნებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, სადაც გაეცნენ საწარმოო პროცესებს, საკვები კულტურების დამუშავების ტექნოლოგიებს, შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდებს.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფ. სარქისიანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ჭითანავა, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი თ. ორუჯევი.

ეკონომიკა
ფაქტები • მოვლენები

თათბირის შედეგები მოიწონეს

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოიწონა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბერლინში გამართული თათბირის შედეგები და იქ მიღებული დოკუმენტები. პოლიტბიუროს ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკის არსია უზრუნველყოს მოძმე ქვეყნების ინტერესები და თავდაცვისუნარიანობა, ევროპისა და მსოფლიო მასშტაბით საყოველთაო განიარაღება და უშიშროების განმტკიცება პლანეტაზე.

ახლა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ხაზგასმით აღინიშნა პოლიტბიუროს სხდომაზე, დავამკვიდროთ ახლებური აზროვნება მშვიდობისა და უშიშროების საკითხებში, თავიდან ავიცილოთ ბირთვული კატასტროფა და გადაჭრით გადავდეთ განიარაღებაზე ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღების დარგში. „მაყაფილებით ითქვა, რომ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები მხარს უჭერენ „იარუზელსკის გეგმას“, რომლის მიზანია ცენტრალურ ევროპაში შეიარაღების შემცირება და ნდობის განმტკიცება. ამ წინადადების რეალიზაცია ხელს შეუწყობს დაძაბულობის შენელებას, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებას.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ პოლონეთის ინიციატივა თავისი შინაარსით ბევრად ემთხვევა ბერლინში მიღებულ დოკუმენტს „ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა სამხედრო დოკტრინის შესახებ“, რომელიც გამოხატავს ხელშეკრულების მკაცრ თავდაცვითს ხასიათს, ყველა საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტის პრინციპს, სამხედროსტრატეგიული თანასწორობის შენარჩუნებას სულ უფრო დაბალ დონეზე რომელიმე სახელმწიფოს უშიშროებისათვის ზიანის მიუყენებლად. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს წინადადებას გაამართოს კონსულტაციები ვარშავასა ან ბრიუსელში ორივე კავშირის დოკტრინების შედარების მიზნით, აგრეთვე იმ მიზნით, რომ გამომეძებნონ ცალკეული სახეობათა შეიარაღებასა და შეიარაღებულ ძალებში შექმნილი დისბალანსების აღმოფხვრის გზები.

ბერლინის თათბირის შედეგებს, აღნიშნა პოლიტბიუროს, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მოძმე ქვეყნების ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებაში, გამოხატავს მათს ნებასა და მისწრაფებას განაგრძონ მშვიდობიანი შერეება ევროპასა და მთელ მსოფლიოში უშიშროებისათვის.

ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲘᲐᲚᲥᲜᲘᲐᲜᲘ ᲒᲔᲛᲘ

ნიუ-იორკი. მსოფლიოს უდიდესი იალქნიანი გემი მზად არის პირველად გავიდეს სანაოსნოდ მაიამის (ფლორიდის შტატი) ნავსადგურიდან, იტყობინება ენ-ბისის ტელეკომპანია. მისი სიგრძე 135 მეტრია. გემს ჰქვია „უინდსონგი“, რაც „ქარის სიმღერას“ ნიშნავს.

„ეს იალქნიანი გემი რომანტიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის შეხამების ნიმუშია, — აღნიშნავს ტელეკომპანია. — იალქნების გაშლა-დაშვების ყველა ოპერაცია კომპიუტერის დახმარებით ხდება“. ბევრი სპეციალისტის აზრით იალქნების დაბრუნება ზღვაოსნობას სათბობის დიდ ეკონომიას ჰპირდება.

მაგრამ „უინდსონგი“ ეს მხოლოდ „მდიდართა სათამაშოა“. მისი პატრონები ხაზს უსვამენ, რომ გემი „გათვალისწინებულია მხოლოდ და მხოლოდ „იმათ გასართობად, ვინც ფუფუნებაში ცხოვრებას არის მიჩვეული“. გემზე ერთ დღეს ყოფნა 375 დოლარი ჯდება.

კოსმოსის მშვიდობიანი გამოყენებისათვის

ნიუ-იორკი. კოსმოსის მშვიდობიან ათვისებაში საერთაშორისო თანამშრომლობა არის იმ დისკუსიის თემა, რომელიც ხამშაბათს გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტის აქ მიმდინარე ოცდამეათე სესიაზე. იგი ეძღვნება მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის გამოყენებას.

დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე ფართო მასშტაბის თანამშრომლობის განვითარება გამალებული შეიარაღების კოსმოსში გატანის გეგმების რეალური და ერთადერთი გონივრული ალტერნატივაა, აღნიშნავენ დელეგატები. კოსმოსურ სივრცეში გამალებულ შეიარაღებას შეუძლია მხოლოდ გაზარდოს ბირთვული ომის საფრთხე, კიდევ უფრო გაადიდოს ისედაც უზარმაზარი სამხედრო ხარჯები და უფრო მეტად ჩამოაშოროს რესურსები ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, აღნიშნა, კერძოდ, უნგრეთის წარმომადგენელმა დიული ქელეი-იშმა.

კოსმოსური ერის დაწყებისთანავე საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანამიმდევრულად მოქმედებს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს კოსმოსი მშვიდობიანი, ყოველგვარი იარაღისაგან თავისუფალი, ყველა სახელმწიფოს ერთობლივი ძალებით გამოყენებისათვის ხელმისაწვდომი, განაცხადა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ა. ს. პირადოვმა. სწორედ ამას ითვალისწინებდა ჩვენი ქვეყანა, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წამოაყენა კოსმოსის მშვიდობიანი გამოყენებისათვის, რომელმაც მართლაც ერთ კატასტროფულ მასშტაბს მიაღწია. ახლა ბრიტანეთის დედაქალაქის „ზედმეტ ადამიანთა“ არმია აღემატება დასავლეთის რომელიმე სხვა ქალაქის უმუშევართა არმიას. მოხსენების შემდეგ მონაცემებით, უმუშევართა რიცხვი სულ ცოტა 50 პროცენტით აღემატება მთავრობის ოფიციალურ მონაცემებს.

ცხოვრების დონეთა განსხვავება უშუალოდ ახდენს გავლენას ლონდონელთა სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ჰეკნის და ტაუერ ჰემლეთსის მუშათა რაიონებში მცხოვრები 40-44, აგრეთვე 50-54 წლის მამაკაცები ორჯერ უფრო ხშირად იხოცებიან, ვიდრე ლონდონის მდიდარი რაიონის ბრომლის მცხოვრებლები.

„ლოუ პეი იუნიტის“ მონაცემების თანახმად, გამოკითხვის მონაწილე დედაქალაქის მრავალმა მცხოვრებმა გამოთქვა დიდი შეშფოთება ლონდონში მატერიალური მდგომარეობის შემდგომი გაუარესებისა და სოციალური უთანასწორობის გაღრმავების გამო.

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ

ᲡᲐᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ მშენებლობის ორგანიზატორს, შრომისა და პარტიის ვეტერანს, ოჩამჩირის რაიონის სოფელ აგუბედიის კოლმეურნეობა „აფსნი აყფშის“ ყოფილ თავმჯდომარეს ილარიონ შაკაიას დაბადების 80 და შრომითი საქმიანობის 55 წელი შეუსრულდა. იგი 40 წელი უცელელად ედგა სათავეში მშობლიური სოფლის კოლმეურნეობას, რომელიც აღორძინებისა და განახლების გზით მიდის. მთის კოლმეურნეობა მილიონერი გახდა. აქ ძმურად შრომობენ და ცხოვრობენ აფხაზები, ქართველები, რუსები. ერთმანეთის კარგად ესმით მშრომელებს.

ი. შაკაია არაერთგზის აურჩევიათ რაისაბჭოს და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. სამშობლომ ღირსეულად დააფასა ი. შაკაიას შრომა, დაჯილდოებულია ლენინის, შრომის წითელი დროშის, ოქტომბრის რევოლუციის ორდენებით, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“. ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის და დაბადების 80 წელთან დაკავშირებით პერსონალური პენსიონერი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით დაჯილდოდა.

კულტურის სახლში გაიმართა საიუბილეო საღამო, რომელიც გახსნა საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, ოჩამჩირის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ თ. ქაქუჩაიამ. მოხსენებით ილარიონ შაკაიას ცხოვრებისა და შრომითი მოღვაწეობის შესახებ გამოვიდა სოფლის საშუალო სკოლის დირექტორი ი. კაკაჩია.

საღამოზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა, რომელმაც გულთბილად მიულოცა იუბილარს და წაიკითხა იუბილარის სახელზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. ი. პატიაშვილის მიერ გამოგზავნილი მისალოცი დეპეშა.

ილარიონ შაკაიას ლექსი მიუძღვნა აფხაზეთის ასსრ სახალხო პოეტმა, სოციალისტური შრომის გმირმა ბ. შინქუბამ. იუბილარს მიესალმნენ აფხაზეთის რაიონების დელეგაციათა ხელმძღვანელები.

შემდეგ გამოვიდა იუბილარი ი. შაკაია, რომელმაც მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას მისი შრომის ესოდენ დიდი დაფასებისათვის.

დასასრულ გაიმართა მხატვრული თვითმოქმედების კონცერტი.

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის“ საქ. კორ.

სურათებზე: საიუბილეო საღამო კულტურის სახლში; თანასოფლელებთან კვლავ საქმიანად საუბრობს 80 წლის იუბილარი.

ბ. სოკოლოვის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

შრომაა ჯანმრთელობისა და გმდნიერების წყარო

აქ მეგობრობა გინადრობს მხოლოდ

პრეზიდენტისაგან მოითხოვენ

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ 302 ხმით 105 ხმის წინააღმდეგ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც პრეზიდენტ რეიგანისაგან მოითხოვს კონგრესს მიაწოდოს ცნობები სპარსეთის უურეში ადმინისტრაციის გეგმების შესახებ. ჯერ კიდევ კენჭისყრამდე პალატის სპიკერი ჯიმ რაიტი დარწმუნებული იყო მის შედეგში. სავსებით გარკვეულია, რომ მივიღებთ ამ დოკუმენტს, განაცხადა მან, იმის მიუხედავად, რომ ზუსტად რამდენიმე წუთით ადრე წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტმა ხმა მისცა მის უარყოფას.

კენჭისყრა პალატაში სპარსეთის ყურის რაიონში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის საკითხზე ადმინისტრაციასა და კონგრესის ლიდერებს შორის რამდენიმე დღის წინათ მიღწეული კომპრომისის იურიდიული გაფორმების გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯია. მისი არსი შემდეგია: იმის სანაცვლოდ, რომ კონგრესი დაეთანხმება რეგიონში ამერიკის სამხედრო-საზღვაო ყოფნის ზრდის გეგმებს, ადმინისტრაცია პირობას იძლევა კანონმდებლებს წარუდგინოს „დაწვრილებითი ცნობები“ ამ საკითხზე. „კანონპროექტი არ მოწმობს იმას, რომ პალატა პრეზიდენტის პოლიტიკას მხარს უჭერს თუ ეწინააღმდეგება, განაცხადა ჯ. რაიტმა. იგი უბრალოდ აცნობებს, რომ კონგრესს სჭირდება მეტი ინფორმაცია“. მაგრამ, აღნიშნავს ასოშიეიტედ პრესის საინფორმაციო საagენტო, კანონპროექტი არ მოითხოვს ადმინისტრაციისაგან საკმაოდ დეტალურ ინფორმაციას სპარსეთის უურეში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის შესახებ. თეთრ სახლს შეუძლია ისარგებლოს ამით, როგორც იმის დადასტურება, რომ კონგრესი მხარს უჭერს ყოველ აქციას, რომელთა განხორციელებას მოისურვებს ამერიკის შეერთებული შტატები. როგორც კონგრესმენმა ტობი როტმა განაცხადა, ეს ამერიკის შეერთებულ შტატებს ომთან აახლოებს.

ახლა კანონპროექტი განსახილველად სენატს გადაეცემა. როგორც სენატში დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერმა რობერტ ბერდმა გადაკვრით თქვა, იგი უნდა მოიწონონ. საწინააღმდეგო მოსაზრებებს არ გამოთქვამენ არც თეთრ სახლში. ასოშიეიტედ პრესის ცნობით, პრეზიდენტის თანაშემწეებმა განაცხადეს, რომ იგი ხელს მოაწერს ამ დოკუმენტს. ამრიგად, ადმინისტრაცია ფაქტობრივად მიიღებს თავისუფლებას სპარსეთის უურეში, კონგრესს კი „დაწვრილებით ინფორმაციას“ მიაწვდიან ამის შესახებ.

პესიმისტური განცხადება

ვაშინგტონი. შვიდი უდიდესი კაპიტალისტური ქვეყნის ხელმძღვანელთა 8-10 ივნისისათვის დასახული ვენეციის მორიგი თათბირისაგან არ უნდა ველოდოთ არავითარ კონკრეტულ განცხადებას ევროპაში საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების თაობაზე დასავლეთ სამყაროს ლიდერთა პოზიციის შესახებ. ეს პირდაპირ განაცხადა აქ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯ. შულცმა.

„არა მგონია, — თქვა სახელმწიფო მდივანმა, — რომ უმაღლესი დონის შეხვედრის მონაწილეთა ჯგუფი ვარგოდეს საიმისოდ, რომ სცადოს პასუხი გასცეს წინადადებებს საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების შესახებ“. მან დასძინა, რომ ამ საკითხს რეიკიავიკში განიხილავენ ნატოს სამჯერ სესიაზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ნატოს წევრი ყველა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები.

ამავე დროს ჯ. შულცის გამოთქვამებში გაისმა ამერიკის შეერთებული შტატების ის მისწრაფებაც, რომ დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე შეინარჩუნოს თავისი ბირთვული საბრძოლო ქობინების ნაწილი, მოახერხოს, რომ ისინი არ შეიტანონ შესამცირებელი საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების რიცხვში. მაგალითად, თხოვნაზე, რომ ეცნობებინა, თუ როგორ ეკიდება ამერიკის შეერთებული შტატები დასავლეთ გერმანიის მისწრაფებას თავის ტერიტორიაზე შეინარჩუნოს „პერშინგ-1 ა“ რაკეტები, შულცმა უპასუხა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს ბონის პოზიციას. როგორც ცნობილია, საქმე ეხება ამერიკული საბრძოლო ქობინებით აღჭურვილი 48 ტიპის 72 რაკეტს, რომლებსაც კონტროლს უწევს ვაშინგტონი.

„თავიდანვე ეჭვევაში, — თქვა მან, — ვადგავართ პოზიციას, რომლის თანახმადაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მოლაპარაკება ვრცელდება მხოლოდ და მხოლოდ ამ ორი ქვეყნის სისტემებზე, ხოლო მესამე ქვეყნების სისტემები — არც ბრიტანეთის, არც საფრანგეთის სისტემები, არც „პერშინგები“ — არ არის მოლაპარაკების საგანი“.

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ

● **რომი.** საბჭოთა კავშირი, მისი ხელმძღვანელობა საერთაშორისო ასპარეზზე ახორციელებს პოლიტიკას, რომლის მიზანია საყოველთაო უშიშროებისა და მშვიდობის უზრუნველყოფა. სსრ კავშირი იღვწის იმისათვის, რომ მშვიდობას საფუძვლად ედოს არა იარაღი, არამედ მასზე უარის თქმა, და, უწინარეს ყოვლისა, ბირთვულ იარაღზე უარის თქმა. ეს განაცხადა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ალესანდრო ს

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

▼▼

კასპის უღელეს საწარმოში — ცემენტ-შიფერის კომბინატში მუშაობა დაიწყო ჯანმრთელობის საამქრომ. მოგვის თანხებით აშენებულმა მისმა აღდგენით-პროფილაქტიკურმა ცენტრმა პირველი სტუმრები მიიღო. იგი აღჭურვილია თანამედროვე დიაგნოსტიკური მოწყობილობით. აქ მოქმედებს კარდიოლოგიის, სტომატოლოგიის, გინეკოლოგიის, ფიზიოთერაპიისა და სხვა კაბინეტები. ამჟამად კომბინატის მშრომელებს, მათი ოჯახების წევრებს მათთვის ხელსაყრელ დროს შეუძლიათ მიიღონ გამოცდილი ექიმების კონსულტაცია, გაიარონ მკურნალობის კური.

▼▼

ქართული რომანსის საღამო — ასე ეწოდა ახლახან ქართული ფოლკლორის ტაძარში გამართულ კონცერტს.

რომანსებს ასრულებდა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და बალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი მედეა ნამორაძე, ფორტეპიანოს პარტია შეასრულა ეკატერინე ძამაშვილმა.

საღამოს პროგრამაში იყო მ. ბალანჩივაძის, დ. არაყიშვილის, ი. კარგარეთელის, ზ. ფალიაშვილის, ვ. დოლიძის, ა. მაჭავარიანის, ო. თაქთაქიშვილის და სხვათა ნაწარმოებები.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მედეა ნამორაძე.

Ჯ. ᲠᲝᲛᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

▼▼

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების კულტურის სახლში გაიმართა ორი თაობის შეხვედრა. საქარხნო რაიონის სკოლების კურსდამთავრებულებს გზა დაუღოცეს ომისა და შრომის ვეტერანებმა. მრავალი მათგანის შრომითი ბიოგრაფია, ვისი მხედველი და შრომითი გმირობა აღნიშნულია სამშობლოს ჯილდოებით, პირველი დღეებიდანვე დაკავშირებულია დიმიტროვის სახელობის ქარხანასთან.

▼▼

ბათუმში დაიწყო ოდესის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის უკრაინული მუსიკალურ-დრამატული თეატრის გastროლები. ბათუმის შემდეგ უკრაინელი სტუმრები გამოვლენ მახარაძეში, ცხაკაიაში, ჭიათურასა და თბილისში.

ამ დღეებში ოდესაში თავის ხელოვნებას უჩვენებს თბილისის გრიბოედოვის სახელობის დრამატული თეატრი.

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡᲑᲘᲐ

380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

**ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ — 99-93-08, 99-08-09, ᲐᲛᲮᲐᲚᲘᲜᲘᲡ — 99-72-80, ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲘᲜᲘᲡᲘ — 99-66,10, ᲒᲐᲜᲘᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ: ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61, ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡᲜᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲘ — 99-52-48, ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲠᲐᲜᲘᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ — 93-20-34, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲣᲨᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ — 93-18-70, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲚᲔᲯᲘᲡ — 93-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 93-16-90, ᲣᲪᲮᲝᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21, ᲛᲣᲨᲠᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-73-24, ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ — 93-28-54, ᲡᲐᲨᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ — 93-95-68.

ᲡᲐᲥᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ

ᲡᲝᲩᲘᲛᲘ — 2-40-19; ᲑᲐᲗᲣᲛᲘ — 3-41-69; ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ 2-22-52; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 5-26-36; ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ — 14-27-87; ᲒᲝᲠᲘ — 2-33-10; ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ—2-03-15; ᲜᲣᲒᲓᲘᲓᲘ — 2-28-40; ᲛᲐᲰᲐᲠᲐᲫᲔ — 6-34-44; ᲜᲣᲚᲘᲡᲐᲤᲝᲜᲘ — 5-56-36; ᲗᲔᲚᲐᲕᲘ — 3-12-09; ᲧᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ — 23-66; ᲥᲣᲘᲗᲣᲚᲘ — 25-82; ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ — 45-32.

ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝᲓ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში საზეიმოდ გაიხსნა მუსიკალური ფესტივალი „საოპერო სცენის ოსტატები“.

ფესტივალის მონაწილეებს მიესალმნენ პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი შ. მაღლაკელიძე და საქართველოს კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ი. გამრეკელი.

საზეიმო კონცერტში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები ი. მაზუროკი, შ. ქასრაშვილი, ზ. სოტკილავა, რიგის საოპერო თეატრის სოლისტი ი. ვიიკურისი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ვ. გეწაძე, ა. ხომერიკი, საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი, ქუთაისის საოპერო თეატრის ორკესტრი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის კამერული გუნდი, დირიჟორები ლ. ისაკაძე, ო. დიმიტრიადი, ი. ვოშჩაკი. შესრულდა ჩაიკოვსკის, თაქთაქიშვილის, ვერდის, პუჩინის, ბახის ნაწარმოებები.

კონცერტის შემდეგ სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ი. ვოშჩაკმა გვითხრა: „ქუთაისში ჩემი პირველი ჩამოსვლა მნიშვნელოვან მოვლენასთან იყო დაკავშირებული. მაშინ საოპერო თეატრი ოთარ თაქთაქიშვილის „მინდიას“ დადგმის ოცდახუთი წლისთავს აღნიშნავდა, ამჯერადაც საზეიმო დღეებში ვეწვიეთ ქალაქს. მე ვთვლი, რომ რესპუბლიკის მეორე ცენტრში, სადაც არის საოპერო თეატრი, სიმფონიური ორკესტრი, ასეთი ფესტივალების გამართვა დიდად შეუწყობს ხელს პროფესიული მუსიკის წინსვლას და განვითარებას.

ჩემთვის დაუვიწყარია თქვენთან ადრინდელი შეხვედრები, ბევრი სასიამოვნო მოგონება მაქვს მაშინდელი რეპეტიციებიდან, შედეგითაც კმაყოფილი ვიყავი. ვიმედოვნებ, ასე იქნება ამჯერადაც“.

Დ. ᲒᲔᲓᲔᲜᲘᲫᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲐᲯ. ᲙᲝᲠ.

ᲙᲚᲓᲔᲨᲘ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ



ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ქართველმა ხალხმა კლდეში ნაკვეთი დიდებული არქიტექტურული ანსამბლის — ვარძიის 800 წლისთავი იზეიმა. ამ თარიღს მრავალი პუბლიკაცია მიეძღვნა. ზოგიერთ წერილში კლდის ხუროთმოძღვრების უძველესი ფესვების ჩასახვისა და განვითარების იმ ეტაპების ინტენსიური კვლევის სურვილი იყო გამოთქმული, რომლებმაც უმაღლეს საფეხურს ვარძიისა და დავით გარეჯის ბრწყინვალე ძეგლებში მიაღწია.

სწორედ კლდის უძველესი ძეგლების ძიება და შესწავლაა საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის სელექციისტიკის ლაბორატორიის (გამგე — გ. გფორნდაშვილი) ექსპედიციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი. ეს სამუშაო რამდენიმე წელია მიმდინარეობს თეთრი წყაროს, ბოლნისისა და დმანისის რაიონებში, ხრამის, მაშავერის, ზურთაკეტისა და სხვა მდინარეთა ხეობებში. აქ მიაკვლიეს საქართველოსათვის დღემდე უცნობი ტიპის ძეგლებს. ეს არის კლდოვან კანიონებში რამდენიმე იარუსად გამოკვეთილი კომპლექსები, რომლებიც საკმაოდ დაუხვეწავ, არქაული ფორმის ათობით ხელოვნურ გამოქვაბულს მოიცავს. ჯერ კიდევ ამ ძეგლების ზედაპირული, ხუროთმოძღვრული შესწავლის შემდეგ მუზეუმის სამეცნიერო სესიებზე გამოითქვა ჰიპოთეზა, რომ საქმე გვაქვს წინაფეოდალურ, უფრო კი ბრინჯაოს ხანის კლდის დასახლებებთან, რომელთა მსგავსი კომპლექსები უძველეს ხანაში აღმოსავლეთის ზოგიერთ სხვა ქვეყანაშიც ყოფილა გავრცელებული.

ქვემო ქართლის ქვაბთა უძველესი კომპლექსების ბაზაზე ფეოდალური ეპოქის სხვადასხვა პერიოდში აღდგენა-რეკონსტრუქციის შემდეგ სამი ტიპის — საერო, საკულტო და თავდაცვითი კლდის ძეგლები წარმოიშვა. თავისთავად ძეგლთა ეს მეორეული გამოყენება მეტად საინტერესო სურათს ქმნის ფეოდალური ხანის საქართველოს ყოფა-ცხოვრების აღსადგენად. ამის მაგალითად თუნდაც 1984-1986 წლებში არქეოლოგიურად შესწავლილი ძეგლები — ნახიდურის კლდის სოფლები (სოფელ არუხლოსთან) და „ბუგუთის ქვაბები“ (სოფელ დაღეთთან) გამოგვადგება. ხრამის ხეობაში მიკვლეულ ამ ძეგლებზე მოპოვებულია დიდძალი ნივთიერი მასალა — ნაირგვარი საყოფაცხოვრებო მოწყობილობანი: თონეები, ქერები, მოჭიქული და მოუჭიქავი თიხის ნაკეთობანი, ლითონის, ხის, მინის ნაწარმი, ქსოვილებისა და ტალიჩა-ფარდაგთა ფრაგმენტები, სპილენძის მონეტები და სხვა. „ბუგუთის ქვაბებში“ მოწყობილ მონასტერში აღმოჩნდა მწიგნობრობის დამადასტურებელი ნივთები: პერგამენტზე ნუსხურით ნაწერი რელიგიური წიგნების ფრაგმენტები, სრულად შემონახული პირადი შინაარსის ბარათი, წარწერიანი საგნები, რაც ამ ძეგლთა არქიტექტურული სტრუქტურის ანალიზის შედეგებთან ერთად, შუქს ჰფენს განვითარებულ ფეოდალურ ხანაში საქართველოს ამ რეგიონის მოსახლეობის მატერიალური და სულიერი ცხოვრების მრავალ მხარეს.

ბუნებრივია, რომ მომდევნო ეპოქებში ძეგლთა ინტენსიურმა გამოყენებამ მინიმუმამდე შეამცირა თავდაპირველი ცხოვრების ნივთიერი კვალი; სწორედ ამიტომ, ბოლო დრომდე მკვლევართა მოსაზრებას კლდეებში საცხოვრებელთა წარმოშობის შესახებ ბრინჯაოს ხანის კერამიკის თითოოროლა ფრაგმენტი თუ ადასტურებდა, რომლებიც ქვაბ-საცხოვრებლების უსწორმასწორო იატაკების ღრმულებმა შემოინახა. ეს გარემოება გამოქვაბულთა კომპლექსების წარმოშობის ხანის შესახებ გადაჭრით აზრის გამოთქმას რამდენადმე აძნელებდა.

შარშანდელი ექსპედიციის (ხელმძღვანელი — ახალგაზრდა მეცნიერი თანამშრომელი ნოდარ ბახტაძე) მუშაობა იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ ნაქალაქარი სამშვილდის მიდამოების აღნიშნული ტიპის გამოქვაბულ-კომპლექსებში წარმოებული დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრების შედეგად, გარდა ფეოდალური ხანის შემცველი ნივთიერი მასალის ქვაბებისა, მიკვლეულ იქნა ქვაბ-საცხოვრებელი, რომელსაც თავდაპირველი, უძრავი კულტურული ფენა შემოუნახავს. ამ გამოქვაბულში დაფიქსირებულმა გვიანბრინჯაოს ხანის დიდძალმა თიხის ნაწარმმა (ძირითადად ლეგა და შავპრიალა ბურჭლის ფრაგმენტებმა), რომლებიც აღნიშნული ხანის ტიპური ორნამენტით არის შემკული, საბოლოოდ დაადასტურა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უკვე ჩვენს წელთაღრიცხვამდე II-I ათასწლეულებში მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული საცხოვრებლების კლდეში კვეთის ჩვეცა. ეს გარემოება საყურადღებო ფაქტია როგორც ქართული კლდის ხუროთმოძღვრების ტრადიციის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზების შესწავლის, ისე ქართველ ტომთა ეთნიკური და კულტურული კავშირურთიერთობის კვლევისათვის.

ქვემო ქართლის კლდეში ნაკვეთ ძეგლებზე მუშაობა გრძელდება და, იმედია, უძველესი ქართული კულტურის ეს ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილი სფერო ახალი ფაქტებით შეივსება.

Ს. ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲔ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ერთ-ერთი გამოქვაბული — ეკლესიის შესახსელი სოფელ ზურთაკეტში.

ნ. ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲓᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ...

ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ თავისი გრამფირფიტის წარმატების ამბავი საქართველოს სახალხო არტისტმა, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა პაატა ბურჭულაძემ შეიტყო... ლონდონში, სადაც ამ დღეებში იმყოფება. საფრანგეთის დედაქალაქში გამართულ საერთაშორისო კონკურსზე დისკოგიგანტმა, რომელიც ინგლისის პოპულარულმა ფირმამ „დეკამ“ გამოუშვა და რომელზეც ჩაწერილია მუსორგსკისა და ვერდის ოპერების არიები ქართველი მომღერლის შესრულებით, დაიმსახურა პირველი პრემია — „ოქროს ორფეუსის“ პრიზი და სამაგისო დიპლომი. ეს კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარებაა ვოკალისტისა, რომელიც ავტორიტეტული ჟიურის ერთსულოვანი აზრით გამოცხადებულია წლის საუკეთესო შემსრულებლად, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ბანად, ძლიერი, მელოდიური, გამომსახველი ხმის მფლობელად. ნოემბერში პაატა პირველად შეხვდება ფრანგ მსმენელებს პარიზში თავის სოლო კონცერტზე, სადაც მას გადაეცემა ეს საპატიო ჯილდო.

ჯერჯერობით კი ქართველი მომღერალი ლონდონშია, სადაც ფირმა „დეკა“ ამთავრებს ფირფიტაზე ვერდის ოპერის „ერნანის“ ჩაწერას. პაატასთან ერთად ჩაწერაში მონაწილეობენ მსოფლიოში ცნობილი მომღერლები — ტენორი ლუჩანო პავაროტი (იტალია) და სოპრანო ჯოი სადერლანდი (ავსტრალია). იგივე ფირმა იწერს გრამფირფიტაზე თბილისელი მსახიობის შესრულებით ჩაიკოვსკის, ბოროდინის და რიმსკი-კორსაკოვის რომანსებს. ცნობილი სამეფო თეატრის „კოვენტ-გარდენის“ სცენაზე პაატა გამოვა როსინის ოპერა „სევილიელ დალაქში“ და შეასრულებს დონ ბაზილიოს პარტიას. შუა ივნისში მომღერალი რამდენიმე დღით დატოვებს ლონდონს: იგი გაფრინდება დრეზდენში, სადაც ფირფიტაზე იწერენ ოპერა „ეგმონტი“. გრემინის პარტიას შეასრულებს პაატა ბურჭულაძე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან მსახიობი დაბრუნდება ინგლისის დედაქალაქში, სადაც გამართავს სოლო კონცერტს, რომელზეც შეასრულებს რახმანინოვისა და მუსორგსკის რომანსებს. მასთან ერთად გამოვა უკრაინის დამსახურებული არტისტი კონცერტმაისტერი ლუდმილა ივანოვა — მსახიობის თანამოაზრე, რომელიც გულისხმიერად ეხმაურება მის შემოქმედებითს ჩანაფიქრებს.

გამოსვლების რუკაზეა ავსტრია. ივლისის დამლევს პაატა ბურჭულაძე მონაწილეობას მიიღებს ბრეგენცის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში. დათვალიერების პროგრამაშია ერნანის პარტია ვერდის ამავე სახელწოდების ოპერიდან. შემდეგ მოცარტის სამშობლოს — ზალცბურგის ოკალური ხელოვნების მოყვარულნი მას ნახავენ ოპერა „დონ ჟუანში“ კომანდორის პარტიაში. სპექტაკლს უდირიჟორებს თანამედროვეობის გამოჩენილი მუსიკოსი ჰერბერტ ფონ კარაიანი.

15 აგვისტოს მომღერალი კვლავ შეხვდება ზალცბურგელ მსმენელებს თავის სოლო კონცერტზე, ბრეგენცში კი გამოვა „დონ ჟუანში“.

პაატა ბურჭულაძე მიიწვია ესპანეთის მეფემ, რომ 30 ივლისს გამოვიდეს ვერდის „რეკვიემში“, რომელიც მეფის სასახლეში გაიმართება.

აგვისტოს დამლევს ქართველი მსახიობი თბილისში დაბრუნდება.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ „ᲡᲣᲤᲗᲐ ᲰᲐᲔᲠᲘ“

ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠ ავტომობილთა 50 პროცენტზე მეტი ქალაქში გაუმართავი დემპფერებით დადის. ეს კი თბილისის ატმოსფეროს გამონაბოლქვი გაზებით გაჭუჭყიანების ნამდვილი წყაროა. ასეთი დასკვნა გამოიტანეს რეიდის „სუფთა ჰაერის“ მონაწილეებმა, რომელიც მოაწყვეს საქართველოს სს რესპუბლიკაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის სახელმწიფო ინსპექციამ, რესპუბლიკის ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა და ქალაქის სახელმწიფო ავტოინსპექციამ.

— თბილისში ჰაერის გაჭუჭყიანების მთავარი წყაროა ავტოტრანსპორტია, — თქვა საქართველოს სს რესპუბლიკაში ატმოსფერული ჰაერის დაცვის მთავარმა სახელმწიფო ინსპექტორმა რენე ცხვიტავამ. — რა თქმა უნდა, ავტომობილის მომსახურებაზე ჩვენ უარს ვერ ვიტყვით. მაგრამ ტოქსიკურობისადმი კონტროლი უნდა გავაძლიეროთ. ახლა გამკაცრდა დაუდევარი მძღოლების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებანი, მათ შეიძლება ტარების უფლებაც კი ჩამოერთვათ. ყოველ ავტომობილს ექნება ტოქსიკურობის ტალონი, სადაც აღინიშნება მანქანის ტექნიკური მდგომარეობა. ქალაქის ჰაერის გარემოს სისუფთავეს გაუმჯობესებს შემოსავლელი გზაც, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი მშენებლობა გაუმართლებლად გაჭიანურდა.

კონტროლი დავუწესეთ რესპუბლიკის საწარმოებსაც. მაგალითად, დღე-ღამეში 70 ტონით შემცირდა თბაშირის მტვრის გამოფრქვევა რუსთავის საშენ მასალათა კომბინატში. კომპეტენტური კომისიის ჩარევის შემდეგ აქ დავდგით ელექტროფილტრები. მაგრამ კვლავ აჭუჭყიანებენ ატმოსფეროს ავჭალის სილიკატურ-საკქლე მასალათა ქარხანა, ქუთაისის ლითოფონის ქარხანა, რესპუბლიკის მთელი რიგი სხვა საწარმოები.

ატმოსფერული ჰაერის დაცვა ჩვენი მთავარი საზრუნავია, ამ მიმართულებით ამ ზაფხულ-ბოლოს ეროვნული ინსპექციის ბრიგადა ბორჯომ-ბაკურიანის ტურისტულ ბაზებზე ამოწმებს ავტომობილებს. ეს ბრიგადა